№2614 2015 წლის 4 დეკემბერი ქ. თბილისი

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტისათვის (ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის მონაკვეთი) დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით საქართველოსა და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს შორის მოლაპარაკების გამართვის შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარე აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტისათვის (ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის მონაკვეთი) დამატებითი დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან მოლაპარაკების გამართვის შესახებ.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამართოს მოლაპარაკება იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი (II)“-ის სასესხო ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**